შეხვედრის ოქმი
22 მარტი, სოფელი ხევი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ხარაგაულის რაიონის სოფელ ხევში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია სოფელ ხევის საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მედიის და თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე პედაგოგები და დაინტერესებული მოქალაქეები.

შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველმა ნატალია ბარათაშვილმა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა ლევან ავალიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად მრავალი ინტერნეტ-მექანიზმი, პრობლემად რჩება ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. როგორც ერთ-ერთმა მონაწილე საკრებულოს წევრმა აღნიშნა, სოფლებში მოსახლეობის 90%-ისთვის ინტერნეტი არ არის ხელმისაწვდომი. იშვიათად, მაგრამ მოსახლეობა იყენებს „მაგთიფიქსის“ სერვისს და მობილურ ინტერნეტს, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, არ ხდება მათი აქტიურად გამოყენება. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, შეხვედრის მონაწილეთა აზრით, არსებობს მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად სხვა რამდენიმე ხერხი: როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა განაცხადა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივი პრესის მეშვეობით. გამგეობა გეგმავს, რომ 2013 წლის ბიუჯეტის ანგარიში დაბეჭდოს და გაავრცელოს ბუკლეტების სახით. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ცენტრის ე.წ. „საინფორმაციო ოთახი“, სადაც ინტერნეტი ხელმისაწვდომია, ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის. ამასთანავე, საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე პერიმეტრზე არის უკაბელო ინტერნეტი, რაც ინტერნეტ მომსახურების მიწოდების დამატებითი წყაროა მოსახლეობისთვის, რომლებიც საკუთარი ლეპტოპებით ან სმარტფონებით მოვლენ. შესაბამისად, შეკრებილი საზოგადოება თვლის, რომ დაინტერესების შემთხვევაში, საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა იყოს სხვადასხვა პროცესში ჩართული.

- საზოგადოებისთვის ერთ-ერთი პრობლემური თემაა ნოტარიუსის მომსახურების მიღება. სოფელ ხევის მოსახლეობას აღნიშნული სერვისის მისაღებად ხაშურში ან ხარაგაულში ჩასვლა სჭირდებათ. ამასთან, შეხვედრის მონაწილეთა თქმით, ხაშურში

არსებული ნოტარიუსის ოფისში არ არის ხელმისაწვდომი ყველა სახის მომსახურება, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის. ადგილობრივებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ნოტარიუსის მომსახურებაც ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებრივ ცენტრში. ეს მათ გაუმარტივებს საქმეს, ამასთანავე დაზოგავს მოსახლეობის რესურსებს. სასურველია ნოტარიუსის მომსახურება ადგილზევე ხელმისაწვდომი გახდეს კვირაში სულ მცირე ორი დღით მაინც.

- შეხვედრის მონაწილეთა თქმით, ხარაგაულში საჯარო რეესტრი მხოლოდ ერთ დღეს, ოთხშაბათს გასცემს კომლთა სიის ამონაწერს; სხვა დღეებში მოქალაქემ არქივს უნდა მიმართოს, რაც არაკომფორტული და მოუხერხებელია. დამსწრეთა აზრით, სასურველია, არქივის ერთი თანამშრომელი, რომელიც გასცემს ამ ამონაწერს, საჯარო რეესტრის ოფისში გადმოვიდეს, რაც გაზრდის მოქალაქის კომფორტს.

- მოქალაქეების თქმით, დასახვეწია საჯარო სამსახურში დასაქმების საკითხიც. იმისთვის, რომ საჯარო სამსახურში მიღება იყოს გამჭვირვალე და არ ბადებდეს კითხვის ნიშნებს, გასაუბრება უნდა ჩატარდეს გამჭვირვალედ. შეხვედრის მონაწილეთა თქმით, სასურველია, გასაუბრება ჩაიწეროს და გასაჯაროვდეს გასაუბრების ჩანაწერები, რათა ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის. მათი მოსაზრებით, ეს უზრუნველყოფს ობიექტურობის მაღალ ხარისხს და შეამცირებს ნეპოტიზმის რისკს.

- მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანია თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგი, რათა დაინახონ, თუ რა ცვლილება განიცადა კონკრეტული პირის ქონებამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ.

- მოქალაქეებისთვის მეტნაკლებად ცნობილია პორტალ my.gov.ge-ს შესახებ, თუმცა, ვერ ახერხებენ მისი ფუნქციებით სარგებლობას, რადგან ავტორიზაცია მათთვის გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი აღნიშნულ პორტალზე დარეგისტრირება შეძლონ საზოგადოებრივ ცენტრში.

- მოქალაქეთა ნაწილი სკეპტიკურად უყურებს matsne.gov.ge-ზე არსებულ კომენტარების მოდულს, ვინაიდან არ არსებობს გაწერილი პროცედურა კომენტარების გაანალიზების და შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენისთვის. ასეთის დანერგვას კი ისინი მხოლოდ მიესალმებიან.

- შეხვედრის დასასრულს, დამსწრეებმა ისაუბრეს საზოგადოებრივ ნიჰილიზმზე, რომელიც მოქალაქეთა პასიურობის მთავარ მიზეზად მიაჩნიათ.